# შირაქი

გამოცემის მე-80 წელი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№4 (9.813)

10 - 17 თებერვალი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## ძველი მოედნის ახალი სიცოცხლე



გვ.3



გვ.2

## იმ მედიკამენტების ჩამონათვალი იზრდება, რომელსაც მოსახლეობის ნაწილი 1 ლარად შეიძენს

## უმწეოთა კვებაზე კახეთის მასშტაბით ყველაზე მეტ თანხას დედოფლისწყარო ხარჯავს

გვ.2

## გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვის ცენტრს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს



გვ.5



გვ.2

## რა ცვლილებები ელის სკოლის მანდატურს?



## არასრულწლოვნების იმედად...

გვ.5

## ოცი საუკუნე გულით ატარა ქართველმა ღვთისმშობელი, ღვთისმშობელმა კი კალთით-საქართველო!



გვ.4




გვ.6

## მეცნიერები საუკუნის დაავადებას მალე დაამარცხებენ

## ირაკლი კობახიძე - მრავალი წელია, ამერიკის შეერთებულ შტატებთან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ და მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებთ

უკვე მრავალი წელია, ამერიკის შეერთებულ შტატებთან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ და მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებთ, - ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ აშშ-ში ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის მოწინავე საერთაშორისო კვლევების სკოლაში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისივე თქმით, საქართველო ძალიან აფასებს მტკიცე თანამშრომლობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

”ძალიან ვაფასებთ ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს მიმართ მთელი ამ წლების განმავლობაში. ეს მხარდაჭერა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. გვჯერა, რომ ჩვენ განვითარების სწორ გზას ვადგავართ. ჩვენ ვპროგრესირებთ, მუდმივად ვაძლიერებთ ჩვენს დემოკრატიას, ქართულ ეკონომიკას და გვაქვს ძალიან მკაფიო ხედვა შიდა რეფორმებისა და საერთაშორისო პოლიტიკის მიმართულებით. გვჯერა, რომ ამ მკაფიო ხედვითა და სწორი გზით, საქართველოს საგარეო პოლიტიკური მიზნები მიღწეული იქნება და ჩვენი ქვეყნის საშინაო რეფორმების პრიორიტეტები განხორციელდება. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ყველა ამ მიმართულებით, ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობას აბსოლუტურად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. უკვე მრავალი წელია, მჭიდროდ ვთანამშრომლობთ და მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებთ”, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

## ირაკლი კობახიძე - დეცენტრალიზაციის რეფორმასთან დაკავშირებით კონკრეტული ხედვა გვაქვს

დემოკრატიული განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეფორმაა დეცენტრალიზაციის რეფორმა და ამასთან დაკავშირებით ჩვენ ძალიან კონკრეტული ხედვა გვაქვს, - ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ვაშინგტონში განაცხადა, სადაც ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის სტუდენტებსა და მოწვეულ სტუმრებს საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებსა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებზე ესაუბრა.

ირაკლი კობახიძის შეფასებით, საქართველოში ფისკალური დეცენტრალიზაციის დონე საკმაოდ დაბალია.

„ფისკალური დეცენტრალიზაციის დონე ძალიან დაბალია და ჩვენი მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო შემოსავლების გაორმაგება. ასე რომ, ეს არის კიდევ ერთი ამბიციური მიზანი, რომელიც მმართველობის სისტემაში კიდევ ერთ მნიშვნელოვან ცვლილებას გამოიწვევს. ეს რეფორმა განხორციელდება დეცენტრალიზაციის სტრატეგიის მიხედვით, რომელიც პარლამენტმა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად შეიმუშავა“,- განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

## იმ მედიკამენტების ჩამონათვალი იზრდება, რომელსაც მოსახლეობის ნაწილი 1 ლარად შეიძენს



იმ მედიკამენტების ჩამონათვალი იზრდება, რომელსაც მოსახლეობის გარკვეული კატეგორია 1 ლარად ან შეღავათიან ფასში მიიიღებს. ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ მედიკამენტების მწარმოებელ კომპანიებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.

“საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამამ, რომელსაც რამდენიმე დღეში 5 წელი უსრულდება, ძალიან მნიშვნელოვანი ინტერვენცია მოახდინა ჯანდაცვის სისტემაში, თუმცა როგორც ყველა სისტემას, მასაც აქვს თავისი გამოწვევები და პირველ ადგილზე ამ გამოწვევებიდან უდაოდ დგას მიწვდომადობა ამბულატორიულ მედიკამენტებზე სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის. იმ კერძო-სახელმწიფო თანამშრომლობის რამდენიმე მაგალითმა, რომელიც ამ წლების განმავლობაში გვქონდა, ასევე შარშან დაწყებულმა პროგრამამ, რომელიც ითვალისწინებდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის მედიკამენტების მიწოდებას, ცალსახად დაგვანახა ერთი მხრივ, საჭიროება ამ პროგრამის გაფართოების, ხოლო მეორე მხრივ, იმ რესურსის არსებობა, რომელიც არის როგორც ფასდაკლების მხრივ, ასევე კერძო-სახელმწიფო პარტნიორობის განმტკიცების მხრივ. დღევანდელ შეხვედრაზე გავცვალეთ მოსაზრებები და ნამდვილად მჯერა, რომ ამ მხრივ შედეგები გექნება ძალიან მალე”, - განაცხადა სერგეენკომ.

მინისტრის განცხადებით, თუკი აქამდე ამბულატორიული მედიკამენტების მხრივ სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეები იყვნენ მხოლოდ ის ადამიანები, ვისაც ჰქონდათ 100 000 ქულაზე ნაკლები და მათზე ვრცელდებოდა მხოლოდ 23 მედიკამენტი, ეს ჩამონათვალი უნდა გაიზარდოს და მასში ცალსახად უნდა შევიდნენ ასაკით პენსიონერები, შშმ პირები და დამატებითი კონტიგენტი.

ამასთან, სერგეენკოს განცხადებით, წინასწარი შეფასებით 23 მედიკამენტი უნდა გაიზარდოს 50-მდე.

მისივე თქმით, წინასწარი ანალიზით სოციალურად დაუცველ მოსახლეობას ისევ უნდა შეეძლოს ჩამოთვლილი მედიკამენტები 1 ლარად შეიძინოს, თუმცა უკვე არა მხოლოდ 23 დასახელების, არამედ თითქმის 2-ჯერ მეტი მედიკამენტი.

“რაც შეეხება ასაკით პენსიონერებს, მათ უნდა შეძლონ მინიმუმ დღევანდელი საბაზრო ფასის ნახევრად შეძენა მედიკამენტების ამ 40-45 ჩამონათვალის”, - განაცხადა სერგეენკომ.

დავით სერგეენკოს განცხადებით, მედიკამენტების მწარმოებელ კომპანიებთან შეთანხმდა, რომ 2 კვირის შემდეგ კვლავ გაიმართება შეხვედრა და მოხდება ამ კუთხით მონახაზების გაცვლა.

“წინასწარი შეფასებით, ვფიქრობ, რომ ზაფხულის დასაწყისში უკვე შესაძლებელი იქნება ამ პროგრამის მნიშვნელოვანი გაფართოება”, - განაცხადა სერგეენკომ.

## რა ცვლილებები ელის სკოლის მანდატურს?

მანდატურს მოზარდის შეყოვნების შემთხვევაში მშობლისთვის შეტყობინების ვალდებულება ექნება, სამართალდარღვევის აღმოჩენისას კი მან პოლიციას დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს. აღნიშნული ცვლილებები “ზოგადი განათლების შესახებ” კანონში შედის.

ცვლილებათა პაკეტი შს სამინისტრომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად მოამზადა.

“სკოლაში მოსწავლეთა შორის კონფლიქტის განეიტრალების და სკოლის გარეთ კონფლიქტის გაგრძელების პრევენციის მიზნით, მანდატურს ექნება მოზარდის შეყოვნების და მშობლისთვის და სამართალდარღვევის შემთხვევაში, პოლიციისთვის დაუყოვნებლივ შეტყობინების ვალდებულება;

მანდატურის სამსახური ხდება გაცილებით დამოუკიდებელი და მაღალი ლეგიტიმაციის მქონე - მანდატური თანამდებობაზე დაინიშნება არა სკოლის დირექტორის, არამედ მანდატურის სამსახურის უფროსის მიერ, რაც მანდატურის დამოუკიდებლობის ხარისხს გაზრდის. მანდატურის სამსახურის უფროსს, თავის მხრივ, თანამდებობაზე

ნიშნავს განათლების მინისტრი”, - ნათქვამია კანონპროექტში.



შინაგან საქმეთა და განათლების სამინისტროების მიერ მომზადებული კანონპროექტით, მანდატურად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე, 21 წელს ზემოთ ასაკის მქონე პირი.

ცვლილებების თანახმად, იცვლება მანდატურის პროფესიული მომზადების წესი, რომელიც თეორიულ მომზადებასთან ერთად პრაქტიკულ კომპონენტსაც გაითვალისწინებს.

“თუ დღეს მოქმედი კანონმდებლობით მანდატური შეიძლება გახდეს ზოგადი განათლების მქონე პირი, ცვლილების შემდეგ მანდატურად დაინიშნება მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე პირი; მანდატურის სამსახურში მიღების ასაკი აიწევს 21 წლამდე; იცვლება მანდატურის პროფესიული მომზადების წესი, რომელიც თეორიულ მომზადებასთან ერთად პრაქტიკულ კომპონენტსაც გაითვალისწინებს. გაიზრდება მოსამზადებელი კურსის ხანგრძლივობა. კურსს შესაბამისი ექსპერტები გაუძღვებიან, რაც სწავლების მაღალ ხარისხს და მანდატურთა პროფესიულ ზრდას უზრუნველყოფს. ახალი კურსის შესაბამისად გადამზადებას მოქმედი მანდატურები ეტაპობრივად გაივლიან”, - აღნიშნულია კანონპროექტში.

როგორც შსს-ში აცხადებენ, კანონპროექტი მიზნად ისახავს მანდატურის სამსახურის ეფექტიანობის გაზრდას და უწყებებს შორის მჭიდრო კომუნიკაციის გზით, როგორც სკოლის, ისე მიმდებარე ტერიტორიაზე მოზარდთა შორის დანაშაულის პრევენციას.

კანონპროექტი პარლამენტს უახლოეს მომავალში წარედგინება.

# უმწეოთა კვებაზე კახეთის მასშტაბით ყველაზე მეტ თანხას დედოფლისწყარო ხარჯავს

როგორ ზრუნავენ ადგილობრივი თვითმმართველობები კახეთის მუნიციპალიტეტებში უპოვართა კვებაზე. როგორც აღმოჩნდა, რეგიონში ყველაზე ნაკლები თანხა - 1,20 ლარი ერთ ბენეფიციარზე თელავშია, ხოლო ყველაზე მაღალი – დედოფლისწყაროში - 2,07 ლარია გათვალისწინებული. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, დედოფლისწყარო, რეგიონის მასშტაბით, გასულ წლებშიც ლიდერი იყო.

გურჯააანში, უმწეოთა კვებას ა.ა.ი.პ (არასამეწარმეო-არაკომერციული იურიდიული პირი) „თანადგომა“ ახორციელებს. გურჯაანის 2018 წლის ბიუჯეტში სუბსიდია 170 000 ლარი იყო გათვალისწინებული, საიდანაც 112 630 ლარი კვებაზე, ხოლო 43 370 ლარი ა.ა.ი.პ.-ში დასაქმებულთა ხელფასებზე უნდა დახარჯულიყო. „თანადგომამ“ დაფინანსების გაზრდა 44 000 ლარით მოითხოვა. საბოლოოდ დაფინანსება ორგანიზაციას 25 000 ლარით გაეზარდა, რომელიც მთლიანად ხელფასებისთვის დაიხარჯება. გურჯაანში უფასო სადილით სულ 200 ბენეფიციარი სარგებლობს, დღეში მათთვის 1 ლარი და 46 თეთრია გათვალისწინებული.

ახმეტაში ბენეფიციარები უფასო სადილის მისაღებად ა.ა.ი.პ „სოციალურ სახლს“ სტუმრობენ, რომლის სუბსიდიაც ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიიდან 218 000 ლარს შედაგენს. ამ თანხიდან, 136 000 ლარი კვებისთვის იხარჯება, დანარჩენი კი ა.ა.ი.პ.-ში დასაქმებულთა ხელფასებზე ნაწილდება. ერთი ბენეფიციარისთვის დღეში 1,35 ლარია გათვალისწინებული. ახმეტაში დახმარებით სულ 170 ბენეფიციარი სარგებლობს.

თელავში უფასო კვებისთვის 2018 წელს ა.ა.ი.პ „უმწეოთა და უპოვართა სამსახურს“ 250 000 ლარი გამოეყო, საიდანაც 69 120 ლარი ხელფასებს მოხმარდება, დანარჩენი კი კვებისთვის დაიხარჯება. მუნიციპალიტეტში სულ 380 ბენეფიციარია და თითოეულისთვის დღეში საშუალოდ 1 ლარი და 20 თეთრი იხარჯება.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიამ აღნიშნული მომსახურების შესაძენად ტენდერი 90 000 ლარზე გამოაცხადა. ტენდერში შპს „თარი 08“ - მ გაიმარჯვა. მუნიციპალიტეტში უფასო სადილს სულ 130 ბენეფიციარი იღებს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიამ მიმდინარე წელს ა.ა.ი.პ. „სათნოების სახლს“ სუბსიდიის სახით უმწეოთა კვებისთვის 110 268 ლარი ჩაურიცხა, აქედან, 52 800 სახელფასო ფონდზე გადანაწილდა. მუნიციპალიტეტში სულ 230 ბენეფიციარია და თითოეულზე 1 ლარი და 33 თეთრი იხარჯება.

დედოფლისწყაროში უმწეოთა კვებას ა.ა.ი.პ „სათნოების სახლი“ უზრუნველჰყოფს, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერიამ 2018 წელს სუბსიდიის სახით 204 563 ლარი გამოუყო, აქედან ხელფასისთვის 55 020 ლარია გათვალისწინებული, ხოლო კვებისთვის 149 543 ლარი. ამ დახმარებით სულ 230 ბენეფიციარი სარგებლობს და თითოეულისთვის დღეში 2 ლარი და 07 თეთრია გათვალისწინებული.

რაც შეეხება სიღნაღს, მერიამ მომსახურების შესაძენად ტენდერი გამოაცხადა, რომელშიც ინდ. მეწარმე ბესიკ დოხნაძემ გაიმარჯვა. უფასო კვებისთვის 2018 წელს სულ 116 632 ლარია გათვალისწინებული. მუნიციპალიტეტში 184 ბენეფიციარია და თითოეულის კვებისთვის 1 ლარი და 30 თეთრი იხარჯება.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიამ მიმდინარე წლის ბიუჯეტში უმწეო და გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი 230 მოქალაქისთვის, 120 000 ლარი გაითვალისწინა.

რა თანხა იხარჯება ერთი ბენეფიციარის კვებაზე, სუბსიდიას ა.ა.ი.პ - ს ურიცხავენ, თუ მომსახურების შესყიდვა ტენდერის საშუალებით ხდება - ამ საკითხებს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნათელა სეფაშვილი არ აკონკრეტებს.

# ძველი მოედნის ახალი სიცოცხლე



კინოთეატრის შენობის დაბრუნებისა და რეაბილიტაციის შემდეგ მოსახლეობამ შვებით ამოისუნთქა - ნახევრად დანგრეული და გაპარტახებული შენობა არა მარტო ამახინჯებდა ქალაქის იერ-სახეს, არამედ საეჭვო რეპუტაციის ხალხის თავშეყრის ადგილადაც იყო ქცეული, რითიც იქ მცხოვრები ადამიანები დისკომფორტს განიცდიდნენ და ეს ფაქტი მათ სამართლიან პროტესტს იწვევდა. მას შემდეგ, რაც ყოფილი კინოთეატრის შენობა სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრად გადაკეთდა, სპორტულმა და ახალგაზრდულმა ღონისძიებებმა აქ გადაინაცვლა, თუმცა, ზაფხულობით, ღია ცის ქვეშ გამართული კონცერტების რიცხვმა ჯერ იკლო, მოგვიანებით კი ადგილი შეიცვალა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარე მოედანზე გადმოინაცვლა. მიზეზად კულტურის სახლის ეზოს მდგომარეობა სახელდებოდა- უსწორმასწორო ზედაპირი, არასათანადო განათების სისტემა და კიდევ უამრავი ნიუანსი, რომელიც ცნობილი ესტრადის მომღერლების ვიზიტისას თუ სხვა ღონისძიებების დროს იჩენდა ხოლმე თავს...

ეს სიტუაცია ცოტა ხანში წარსულის კუთვნილება გახდება. ინფრასტრუქტურული სამუშაოების ფარგლებში, ცალკე გაკეთდა მოსახლეობასთან მისასვლელი გზა, მოეწყო და მოპირკეთდა საყრდენი კედლები , გასწორდა და მოასფალტდა მოედნის ტერიტორია, მალე აქ უახლესი ლედ განათების სისტემაც დამონტაჟდება.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მერის მოადგილესთან, მალხაზ მერაბიშვილთან და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან, დავით ფხოველიშვილთან ერთად დედოფლისწყაროს კულტურის სახლისა და სპორტული დარბაზის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები დაათვალიერა.

“აღნიშნული ტერიტორია წლების განმავლობაში ძალიან ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა და არ გააჩნდა არანაირი გარეგნული სილამაზე. დღეისათვის მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დასკვნით ფაზაშია და ძალიან მალე დედოფლისწყაროს კიდევ ერთი ლამაზი ადგილი შეემატება, რაც კულტურული და სპორტული ღონისძიებების უსაფრთხოდ ჩატარების საშუალებას მოგვცემს“-აცხადებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი.





# დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება №67

**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2018 წლის საგაზაფხულო გაწვევის კომისიის შექმნისა და მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების შესახებ.**

-----------------------------

საქართველოს ორგანული კანონი- „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ „საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, მეორე პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად და „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2018 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 25 იანვრის №36 დადგენილების საფუძველზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით.

## ვბრძანებ:

1. შეიქმნას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საგაზაფხულო გამწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ნიკოლოზ ჯანიაშვილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი, კომისიის თავმჯდომარე;

მამუკა ალადაშვილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

მალხაზ მერაბიშვილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის წევრი;

ირინა ზელენსკაია - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

იოსებ ბუთხუზი - შსს დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

ზურაბ ჯანგულაშვილი - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი, კომისიის წევრი.

2. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევა განხორციელდეს 2018 წლის 30 ივნისამდე.

3. სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულ იქნენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც არა აქვთ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების ან მისი გადავადების უფლება.

4. 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ამ ბრძანების ამოქმედების დღიდან ვალდებულნი არიან, გამოცხადდნენ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში რეგისტრაციის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

5. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ვალდებულნი არიან, გაწვევის დღისათვის გამოცხადდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურში.

6. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადავადების მოსაკრებლის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის უწყების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

7. ეთხოვოს შსს დედოფლისწყაროს რაიონულ სამმართველოს, აღმოუჩინოს დახმარება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურს იმ წვევამდელთა მოძებნასა და გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

8. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2018 წლის საგაზაფხულო გაწვევის კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ან თუ კომისიის თავმჯდომარეს დროებით არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

9. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „შირაქში“.

10. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე და გავრცელდეს 2018 წლის იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

11. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 7 თებერვლის №61 ბრძანება „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2017 წლის საგაზაფხულო გაწვევის კომისიის შექმნისა და მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების შესახებ“.

ბ) დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 9 აგვისტოს №462 ბრძანება „დედოფლისწყაროს მუციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2017 წლის საშემოდგომო გაწვევის კომისიის შექმნისა და მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების შესახებ“.

12. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ. სიღნაღი. ცოტნე დადიანის ქ. №15) ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი
**მუნიციპალიტეტის მერი**

# ოცი საუკუნე გულით ატარა ქართველმა ღვთისმშობელი, ღვთისმშობელმა კი, კალთით–საქართველო!

საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა რომ არის, საქართველოში მცხოვრებმა ყველა ადამიანმა იცის, ხოლო ღვთისმშობლის წყალობას და მფარველობას ყოველი ძნელბედობის და გასაჭირის ჟამს ჩვენი ისტორია ცხადჰყოფს. ამიტომაც, გამორჩეული კრძალვითა და სიყვარულითაა განმსჭვალული ყოველი მართლმადიდებელი ქართველი მის მიმართ. ეს დაუდო საფუძვლად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ თავისი დაბადების 85, ხოლო აღსაყრდებიდან 40 წლისთავისთვის სწორედ ღვთისმშობლის ხატების საქართველოში მოგზაურობის იდეას. 2017 წლის მაისიდან აწყურისა და ივერიის ღვთისმშობლის ხატების ასლები მთელს საქართველოში მოგზაურობენ.



4 თებერვალს, კვირას, წირვის დამთავრების შემდეგ, მრევლი მეუფე დიმიტრისთან და ეპარქიის მღვდელმსახურებთან ერთად, ხატებს ქალაქის შემოსასვლელში შეხვდა და ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარში დააბრძანა. ხატები ჩვენს რაიონში სიღნაღის მუნიციპალიტეტიდან შემოვიდა და 7 დღე დარჩა. მთელი კვირის განმავლობაში, 5-დან 11 თებერვლის ჩათვლით ტაძარში ღვთისმსახურების განსაკუთრებული რეჟიმი დაწესდა: დილის 9 საათზე და საღამოს 5 საათზე, წირვა-ლოცვების გარდა, 12, 3 და საღამოს 9 საათზე აღევლინებოდა პარაკლისები, ხოლო 1 და 4 საათზე დედოფლისწყაროს მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში აჩვენებდნენ მოკლემეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმებს ხატების დაწერის ისტორიის შესახებ. აი, რას მოგვითხრობდნენ ეს ფილმები:

- საეკლესიო გადმოცემით, მაცხოვრის ამაღლების შემდეგ, მოციქულებმა წილი ჰყარეს, თუ ვის რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგა სახარება. ზეციურ დედოფალ მარიამს წილად ივერიის ქვეყანა, ანუ საქართველო ხვდა. უფალმა ისურვა, დედა ღვთისა იერუსალიმს არ გარნიდებოდა და საქართველოში მის მაგივრად მოციქული ანდრია პირველწოდებული გამოგზავნა. ღვთისმშობელმა, რადგან თვითონ ვერ მოდიოდა, თავისი ხელთუქმნელი ხატი გამოატანა ანდრიას- მან პირი დაიბანა, სუფთა ტილო მიიფარა სახეზე და მასზე მისი ხატება გადავიდა ყრმასთან ერთად. სწორედ ეს სასწაულმოქმედი და ხელთუქმნელი ხატი ჩამოაბრძანა ანდრია პირველწოდებულმა საქართველოში, რომელსაც შემდგომში „აწყურის ღვთისმშობელი" ეწოდა. უფალმა ბრძანა, რომ ეს ხატი იქნებოდა ღვთისმშობლის წილ, ანუ მის ნაცვლად მცველი ჩვენი ერისა ვიდრე უკუნისამდე. პირველი მეფე გუბაზი იყო, რომელმაც იწამა ჯვრის ძალა და ბრძოლის ველზე გასვლის წინ, აბჯართან ერთად, თან იახლა უფლის ჯვარი, როგორც მცველი და მეოხი მტერზე გამარჯვებისა. მას მერე 2000 წელი გაუთავებელ ომებსა და განსაცდელში გულით ატარა ქართველმა ღვთისმშობელი, ღვთისმშობელმა კი – კალთით საქართველო!

მას მერე ბევრმა დრომ განვლო, საქართველო მეოთხე საუკუნეში წმინდა ნინოს ქადაგების შედეგად მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას ხელშეწყობით გაქრისტიანდა. დროთა განმავლობაში ღვთისმშობელმა, თავისი მფარველობის დასტურად, კიდევ ერთი უდიდესი სიწმინდე არგუნა ივერიელთ – ღვთისმშობლის ხატი, რომელიც სასწაულებრივად განერიდა ბიზანტიის იმპერიაში ხატების წინააღმდეგ დევნას და ასევე სასწაულებრივად მიბრძანდა ათონის მთაზე ივერთა მონასტერში. ამ ხატს ეწოდა „ივერიის ღვთისმშობელი" და, აწყურის ხელთუქმნელი ხატის მსგავსად, დაეკისრა მისია, დაეცვა მართლმადიდებლობა ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა. ხატის წარმოშობის შემდეგ ისტორიას მოგვითხრობდა მეორე ფილმი: ბიზანტიის იმპერატორმა ქრისტიანული ხატების დარბევა და განადგურება ბრძანა. ჯარისკაცები მოსახლეობას ართმევდნენ ხატებს, ქუჩებში ჰყრიდნენ, შეურაცხყოფდნენ და ამსხვრევდნენ. ზღვისპირა ქალაქ ნიკეაში ერთ ქვრივს ღვთისმშობლის ხატი ებრძანა სახლში და სულ მუდამ გულწრფელად ლოცულობდა. იმპერატორის ერთგული ჯარისკაცები სახლში შეიჭრნენ, ერთ-ერთმა მათგანმა ხატს შუბი სახეში დაჰკრა და სწორედ აქ მოხდა სასწაული– ხატის ჭრილობიდან სისხლმა იფეთქა და ჯალათს გულისპირზე შეესხა. მოულოდნელობისაგან გაოგნებული ჯარისკაცები სახლს უმალ განერიდნენ. ქვრივმა კი, თავის ვაჟთან ერთად, ხატი ზღვის პირას წააბრძანა, ილოცა და ზღვის ტალღებს გაატანა. ქვრივის ვაჟმა, დედის თხოვნით, ნიკია დატოვა, ათონის მთაზე მონასტერში წავიდა და მთელი სიცოცხლე იქ ღვთისმსახურებაში გაატარა. ზღვაში გაშვებული ხატი არ ჩაძირულა, ასე ფეხზე მდგომარე გაჰყვა ტალღებს დასავლეთისაკენ, გაეცალა ნიკიას და ათონის მთას მიადგა, სადაც უკვე ოცამდე ტაძარი იყო აგებული, მათ შორის ქართველების მიერაც. დილით, ზღვის პირზე გამოსულმა წმინდა მამებმა იხილეს ნათლის სვეტი, სცადეს მასთან მიახლოვება, მაგრამ ხატი უკან იხევდა და თავისთან არავის უშვებდა. იმ დროს, ერთ-ერთ საკანში განმარტოებული ცხოვრობდა ტომით ქართველი, სიწმინდით გამორჩეული ბერი გაბრიელი. მას ღამით სიზმარში გამოეცხადა ღვთისმშობელი და უთხრა: შემოდი ზღვაში, რწმენით გაიარე ზღვაზე და მერე ყველა შეიტყობს ჩემს სიყვარულს თქვენდამიო. ასეც მოიქცა ბერი, შევიდა ზღვაში და როგორც პეტრემ გალილეის ზღვაზე, დაუბრკოლებლად გაიარა მის ზედაპირზე, მიეახლა ნათლის სვეტით გაბრწყინებულ ღვთისმშობლის ხატს, ხელში აიღო და ნაპირზე გამოიტანა. იქ, სადაც ბერმა გაბრიელმა ხატი დააბრძანა, ამოჩქეფა წყალმა, რომელიც დღემდე მოედინება, არის მკურნალი და სასწაულმოწმედი. ხატი შეაბრძანეს ტაძარში და საკურთხეველთან დააბრძანეს. დილით ხატი იქ აღარ დახვდათ, ის შესასვლელ კართან იყო. ასე განმეორდა რამდენიმე დღეს. შემდეგ ისევ ბერ გაბრიელს ეზმანა ღვთისმშობელი და უთხრა: არ მინდა თქვენი მფარველობა. მე მინდა, ვიყო თქვენი მფარველიო და ხატმა ადგილი დაიდო ტაძრის შესასვლელ კართან, როგორც მცველმა და შემწემ. და ვიდრე ხატი ღვთისმშობლისა ათონის მთაზე ივერთა მონასტერში იქნება, სრულიად საქრისტიანოს დაიფარავს მისი მადლი, მაგრამ დადგება დრო, როცა ხატი დატოვებს იქაურობას, ეს იქნება უტყუარი ნიშანი უფლის მეორედ მოსვლისა. სწორედ ამ ხატის შემობრძანებას და ივერიის გაბრწყინებას მოთმინებით ელოდება ქართველი ერი. ათონის ივერთა მონასტერმა იტვირთა უდიდესი მისია, ყოფილიყო არა მხოლოდ სულიერი მოღვაწეობის ცენტრი, არამედ მძლავრი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა უცხოეთში, მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქრისტიანობის, როგორც საქართველოს ცივილიზაციური არჩევანისა და ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების ხელშეწყობის საქმეში და დიდად განაპირობა ქართველთა ეროვნული იდენტობის შენარჩუნება. XI, XII და XIII საუკუნეების ათონის მთის სამონასტრო ცხოვრებას ქართულ პერიოდს უწოდებენ, იმდენად დიდი იყო ღვაწლი და გავლენა ქართული ეკლესიისა და ერისა.

სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში, ჩვენივე ცოდვების და უყურადღებობის გამო, ვერ შევძელით, შეგვენარჩუნებინა წმინდა სავანე ათონის მთაზე. თუმცა, სინანული, რომელიც თავისი სულიერი წინამძღოლის - ილია მეორის დაუღალავი შრომით ქართველმა ერმა გამოავლინა, უნაყოფო არ ყოფილა. ამ სინანულის ქმედითი გამოვლინებაა ელიის მთაზე საქართველოს მართლმადიდებელთა ერთსულოვნებით წმინდა სამების საკათედრო ტაძრის აშენება და ასევე, მთელი ერის ძალისხმევით მახათას მთაზე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ახალი სავანის მშენებლობა, რომელიც იქნება ღვთისმშობლის წილხდომილი ერის მიერ ღვთის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობის გათავისება და აღიარება. ჯერ კიდევ 2002 წელს მისმა უწმინდესობამ ივერიის ღვთისმშობლის ხატის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის ფონდი დაარსა, რომელსაც მახათას მთაზე უნდა განეხორციელებინა ტაძრისა და სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა. პირველი ამ კომპლექსში 2005-06 წლებში აშენდა ათონელი მამების-იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის ტაძარი. 2010 წელს სამონასტრო კომპლექსის მშენებლობაში ჩაერთო სრულიად საქართველო და შეიქმნა ფონდი „ივერიისა". 2011 წლის 21 სექტემბერს ივერიის ღვთისმშობლის ხატის ტაძრის საძირკველი იკურთხა. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ტაძრის საძირკველში ჩასაბრძანებლად ხალხმა მიიტანა ქვები, რომელზეც მათი ოჯახების წევრთა სახელები იყო დაწერილი. მშენებლობა 2012 წელს დაიწყო, 2015 წლის 21 სექტემბერს ტაძარზე აღიმართა ჯვარი, 2016 წლის მაისში ტაძრის სამრეკლოზე საქართველოში ჩამოსხმული ზარები დაიკიდა. 2016 წლის აპრილში მშენებარე ტაძრისათვის ათონის მთაზე დაიწერა და საქართველოში ჩამობრძანდა ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ასლი და საგანგებოდ შექმნილი ღირსი მამა გაბრიელ ათონელის ხატი. სწორედ ეს ყოვლადქწმინდა ღვთისმშობლის ხატის ასლი იყო დაბრძანებული მთელი კვირა ჩვენს ტაძარში აწყურის ხატთან ერთად, რომლის მოსალოცადაც მთელი რაიონის მრევლი მოვიდა სოფლებიდანაც.



როგორც ზემოთაც გითხარით, მთელი კვირის მანძილზე დედოფლისწყაროს მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში მიმდინარეობდა მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტურ-მხატვრული ფილმების ჩვენება და ეწყობოდა საუბრები. გთავაზობთ **თბილისის ბიჭვინთის ღვთისმშობლის ტაძრის წინამძღვარის** დავით კონჯარიას **საუბრიდან ამონარიდს:**

„2016 წლის სინოდის სხდომაზე გადაწყდა, რომ 2017 და შემდეგი წელი ყოფილიყო საიუბილეო და სამი ღირსშესანიშნავი თარიღი: საქართველოს ავტოკეფალიის მმართველობის აღდგენის 100 წლისთავი, 40 წელი პატრიარქის ინტრონიზაციიდან და მისი დაბადებიდან 85 წლისთავი განსაკუთრებულად აღგვენიშნა. ამასთან დაკავშირებით დაიგეგმა სხვადასხვა სამეცნიერო და კულტურული ღონისძიებები და მათ შორის ამ წმინდა ხატების მოგზაურობა საქართველოს კონტროლირებად ყველა რაიონში.

რატომ იქნა გამორჩეული ეს ორი ხატი?

ეს ორივე ხატი დაკავშირებულია საქართველოსთან, ჩვენს ისტორიასთან. თქვენთვის ყველასათვის ცნობილია, რომ ამაღლებამდე მაცხოვარმა უბრძანა თავის მოწაფეებს, რომ დედამიწაზე ექადაგათ ქრისტიანობა. ამის შემდგომ, მოწაფეებმა ყარეს წილი, თუ ვის სად უნდა ექადაგა. ამ წილისყრაში მონაწილეობა მიიღო ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმაც და მას წილად ხვდა ივერია. გამომგზავრების წინ ღვთისმშობელს გამოეცხადა მაცხოვარი და უთხრა: დედაო, ნუ განეშორები იერუსალიმს, შენს ნაცვლად გააგზავნე ანდრია მოციქული და მას გაატანე ხატი იგი ხელთუქმნელი. ეს ხატი ღვთისმშობლის განსაკუთრებულ მფარველობაზე მეტყველებს. ამ ისტორიით მოვიდა ანდრია პირველწოდებული საქართველოში, მან, სიმონ კანანელთან და მატათა მოციქულთან ერთად, დააარსა პირველი ეკლესიები და საქართველოში დაიწყო პირველი ქრისტიანული ცხოვრება.

წმინდა ნინოს უკავშირდება მეფე მირიანისა და ანა დედოფლის გაქრისტიანების, და ასევე მთელი ერის მოქცევის ისტორია. მნიშვნელოვნად წინ წასწია ჩვენი ქვეყანა ვახტანგ გორგასალმა, როდესაც ჩვენს ეკლესიას მოუპოვა ავტოკეფალია, თვითმმართველობა, რომელიც გახდა დიდი ძალის მომცემი ჩვენი ერისათვის. ქართველმა ერმა გულით ატარა ქრისტიანობა და მისი გულისთვის საკუთარ სიცოცხლესაც უყოყმანოდ სწირავდა. მამული და სარწმუნოება განუყოფელი ცნებები გახდა ქართველისათვის. ჩვენი წინაპრები თავდაუზოგავად, მოწამეობრივად იღწვოდნენ და აშენებდნენ ეკლესია-მონასტრებს და იმ დიდ სულიერ სიმაღლეებს მიაღწიეს, რომელსაც ერქვა თამარისა და დავითის საქართველო. ამ პროცესების დასაწყებად ღვთისმშობელმა საქართველოში გამოგზავნა 13 ასურელი მამა, რომელთაც იოანე ზედაზნელი მოუძღოდა წინ და ბერ-მონაზონთა ინსტიტუტის გაძლიერებით იწყება ჩვენში სრულყოფისაკენ სვლა. არნახული ბერ-მონაზნული ცხოვრება დაიწყო საქართველოში. თუკი მეექვსე-მეშვიდე საუკუნეში სირია-პალესტინაში, ეგვიპტეში, ალექსანდრიაში, ანტიოქიაში ბერული ცხოვრება განიცდის დაკნინებას, პირველ ყოვლისა იმის გამო, რომ სხვადასხვა მწვალებლობები ჩნდებიან, შემდგომ ისლამი მძლავრობს, საქართველოში პირიქით, ძლიერდება ქრისტიანობა და შეიძლება თამამად ითქვას, რომ შემდგომი 500 წლის მანძილზე საქართველო იყო ბერმონაზვნობის აკვანი და მედროშე, სამშობლო ამ სულიერი ცხოვრებისა, რასაც ჰქვია ბერ-მონაზვნული ცხოვრება. მათ ნაკვალევზე მოვა უკვე გრიგოლ ხანძთელი, რომელიც აარსებს ტაო-კლარჯეთში მონასტრებს. სადაც იყო დიდი ქრისტიანული კერა, იქვე მიმდინარეობდა დიდი ლიტერატურული მოღვაწეობა.

მახათას მთაზე მშენებარე ტაძარსაც სწორედ ასეთი დანიშნულება ექნება. აქ მოხდება სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნა, აქვე აშენდება ღვთისმშობლის მუზეუმიც.

(გაგრძელება გვ. 8)

# არასრულწლოვნების იმედად...

***დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოში ჭამიაშვილების ოჯახის ორივე სრულწლოვანი წევრი უნარშეზღუდულია. შრომისუნარიანი მარჩენალის გარეშე დარჩენილ ოჯახს სოციალური მომსახურების სააგენტომ გასული წლის სექტემბრიდან ყოველთვიური საარსებო შემწეობა შეუწყვიტა, რამაც მათი ყოფა კიდევ უფრო გაართულა. რამ გამოიწვია მათი ოჯახის სარეიტინგო ქულების მკვეთრი ზრდა, მაშინ, როცა ოჯახის საყოფაცხოვრებო პირობები არაფრით შეცვლილა, მათთვის უცნობია. ჭამიაშვილების ოჯახს გადაუხდელობის გამო ელექტროენერგიაც ჩაუჭრეს. 70 ლარიან დავალიანებას სამი თვეა ვერ იხდიან, რის გამოც მოზარდებს გაკვეთილების მომზადება სანთლის შუქზე უწევთ.***

ჭამიაშვილების ერთადერთი შემოსავალი ამჟამად თვეში მხოლოდ ასი ლარია, რომელსაც **ილია ჭამიაშვილი** ინვალიდობის პენსიის სახით იღებს. მეორე ჯგუფის ინვალიდის პენსია კი ასაკობრივთან შედარებით მცირეა და მხოლოდ 100 ლარს შეადგენს. სხვა შემოსავალი ოჯახს არ გააჩნია. ბავშვების დედას, ხათუნა ჭამიაშვილს გადაადგილება უჭირს, თუმცა ინვალიდის სტატუსი ოფიციალურად ამ დრომდე ვერ მიიღო. ამბობს, რომ ოჯახური პრობლემებისა და საჭირო ხარჯების არარსებობის გამო სათანადო დოკუმენტების მოგროვება ვერ შეძლო.

„მანამდე მეუღლესთან წნორში ვცხოვრობდით, მაგრამ დავშორდი და წასასვლელი რომ არსად მქონდა, მცირეწლოვან შვილებთან ერთად, მამაჩემს მივეკედლე. მეუღლე ყურადღებას არ გვაქცევს, არც ბავშვებს არ ეხმარება. ამ სოფელში მამაჩემის ძველი სახლია და აქ დავბინავდი. მეორე სართული ჩემს ძმას აქვს დაკავებული და იქ ვერ შევდივართ, ამიტომ პირველ სართულზე ვიწრო ოთახებში ვცხოვრობთ. ძალიან ძველი ბინაა. დედაჩემიც ინვალიდი იყო, ფეხი არ ჰქონდა და გასულ წელს დაგვეღუპა. ოჯახში ვერავინ ვერ ვმუშაობთ, ჯანმრთელობა ხელს არ გვიწყობს, გადაადგილებაც გვიჭირს. თუ ვინმე არ დაგვეხმარა, გარეთაც ვერ გამოვდივართ. ხშირად ვზივართ და ველოდებით, რომ ვინმემ გარეთ გაგვიყვანოს. მეზობლები საკვებითაც ხშირად გვეხმარებიან. ძალიან ვთხოვთ ხელისუფლებას, იქნება რამენაირად დაგვეხმარონ, რომ დახმარება აღგვიდგეს,“ – განუცხადა „შირაქს“ ხათუნა ჭამიაშვილმა.

ოჯახის თავკაცი ხანდაზმული არ არის, ის ჯერ 62 წლისაა, მაგრამ წუხს, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობა მუშაობის საშუალებას არ აძლევს. ამის გამო ოჯახი საარსებო შემოსავლის გარეშეა დარჩენილი და თავის გატანა უჭირთ. თავის მხრივ ხათუნაც წუხს, რომ უნარშეზღუდულ მამას ტვირთად დააწვა, მაგრამ ამბობს, რომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. მოზარდებს ბევრი რამ სჭირდებათ, მაგრამ მათი სურვილების ასრულებას ვერც დედა ახერხებს, ვერც - პაპა.

„დიდი ხანია, ინვალიდი ვარ, პენსიის დანიშვნაც ძლივს მოვახერხე. უკვე 5 წელია, მეორე ჯგუფის ინვალიდობის პენსიას ვიღებ, მაგრამ 100 ლარს მაძლევენ.





ვერ დავდივარ, ისე რთულად ვარ ავად, რომ თუ ბავშვებმა არ გამომიყვანეს, ქუჩაშიც ვერ გამოვდივარ. დენი შეჭრილი გვაქვს, წყალზეც დღეს მოსულები იყვნენ, უნდა ჩავჭრათო, მაგრამ ვეხვეწე, ვემუდარე, იქნებ რამენაირად გადავიხადოთ- მეთქი და დამინდეს. წყალიც რომ დაეწყვიტათ, რა უნდა მექნა. არანაირი სხვა შემოსავალი არ გვაქვს, 100 ლარზე ვართ დამოკიდებული ოთხსულიანი ოჯახი–ჩემი შვილი და მისი ორი არასრულწლოვანი ბავშვი. აგვისტოს შემდეგ დახმარება აღარ მიგვიღია. მიზეზი არ უთქვამთ, მაღალი ქულებიაო და შეგვიწყდა. გამოდის, ამ სოფელში მარტო მე გავმდიდრებულვარ და არ ვიცოდი,“ – თავის დარდს გვიზიარებს ილია ჭამიაშვილი.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე მუშაობა ხათუნას უფროს შვილს, 14 წლის ილიას უწევს, რომელსაც დაქირავებაზე უარს ხშირად ასაკის გამო ეუბნებიან. ის სპორტითაა დაკავებული და ჩემპიონობაზე ოცნებობს, ცდილობს, ხელმოკლე ოჯახს შეძლებისდაგვარად დაეხმაროს.

„ჩემი საქმეა ვარჯიში და მუშაობა. სკოლაშიც დავდივარ და ვსწავლობ, მაგრამ როცა ვახერხებ, დრო თუ მექნება ვცდილობ ვიმუშაო, რომ ოჯახს დავეხმარო. რაც გამოჩნდება, ყველანაირ საქმეზე ვმუშაობ- ტყეში, თოხზე და ასე შემდეგ. ასევე, თამაზ ყარაგვეზაშვილთან დავდივარ და კიკბოქსინგში ვვარჯიშობ, ძალიან მიყვარს სპორტი. მინდა წარმატებებს კიკბოქსინგში მივაღწიო და დიდი სპორტსმენი გავხდე, ჩემპიონობაზე ვოცნებობ,“ – ამბობს **ილია ხატიაშვილი** და კედელზე გაკრულ სიგელებს გვიჩვენებს, რომელიც სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებში აქვს მიღებული.

ხელმოკლე ოჯახი თავის გატანას მეზობლების დახმარებით ახერხებს. სამრეკლოში ამბობენ, რომ ჭამიაშვილები სოფელში ყველაზე გაჭირვებული ოჯახია.

„დედა ჰყავდათ, ისიც უნარშეზღუდული იყო, ფეხი მოჭრილი ჰქონდა, მაგრამ მისი პენსიაც ეხმარებოდათ და ამას გარდა, ძლიერი ქალი იყო, ოჯახს მშვენივრად აწარმოებდა. გასულ წელს დაიღუპა და მას შემდეგ კიდევ უფრო გაუარესდა ამ ოჯახის მდგომარეობა. ვერც მამა მუშაობს, ვერც ხათუნა და ორივე პატარა ბავშვების იმედად არიან, რომ გადაადგილებაში დაეხმარონ. ხან ვალებს იღებენ, ხან მეზობლების იმედად არიან და რაღაცნაირად ახერხებენ თავის გატანას. სოფელში ერთ-ერთი ყველაზე გაჭირვებული ოჯახია. დახმარებაც შეუწყვიტეს და ვიწვებით ამათი ცოდვით. როგორ შეიძლებოდა ასეთი მდგომარეობის ოჯახისთვის დახმარების მოხსნა,“ – აღნიშნავენ სამრეკლოელები.

დახმარების შეწყვეტის მიზეზების გარკვევა სოციალური სააგენტოს ცენტრალურ ოფისში ვცადეთ. სოციალური მომსახურების სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ტატა გამყრელიძე ამბობს, რომ ოჯახს შეუძლია სააგენტოს მიმართოს და ხელახლა გადამოწმება მოითხოვოს, რის შემდეგაც სააგენტო მათ სარეიტინგო ქულებს ხელახლა დაითვლის. მისი თქმით, გადამოწმების უფლება ჭამიაშვილებს აგვისტოში ექნებათ, როცა ბოლო შემოწმებიდან ერთწლიანი ვადა ამოიწურება.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი **ნიკოლოზ ჯანიაშვილი** „შირაქთან“ ამბობს, რომ დახმარებაშეწყვეტილ ოჯახებს ადგილობრივი თვითმმართველობა რეკომენდაციას ყოველთვის უწევს. მისი თქმით, ჭამიაშვილებს მისთვის არ მიუმართავთ, თორემ სააგენტოს ადგილობრივ ფილიალთან აუცილებლად უშუამდგომლებდნენ.

„დახმარება უწყდებათ სარეიტინგო ქულების მიხედვით, რომელშიც ჩვენ ვერ ვერევით, ეს პროცესი მთლიანად თბილისიდან იმართება. თუმცა, ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, რეკომენდაციის დონეზე, გავეცნოთ ამ ოჯახების მდგომარეობას და დამატებითი გადამოწმების თხოვნით ვუშუამდგომლოთ ადგილობრივ ფილიალთან. ამ ოჯახსაც შეუძლია მოგვმართოს და აუცილებლად გვერდით დავუდგებით. ამას გარდა, ჩვენი სოცპაკეტი ისეთი ოჯახების დახმარებასაც ითვალისწინებს, რომელთაც სოციალური საარსებო შემწეობა არ აქვთ. ასეთია, მაგალითად, სათბობი შეშით უზრუნველყოფა, თუ სხვადასხვა სახის კომუნალური გადასახადების დაფინანსება. შესაძლოა, ოჯახს მაღალი ქულები ჰქონდეს, მაგრამ ადგილობრივი ბიუჯეტიდან ამგვარი დახმარება მიიღოს. ყოველწლიურად ვცდილობთ, გავზარდოთ და კიდევ უფრო დავხვეწოთ სოციალური პაკეტი. რის საშუალებასაც ბიუჯეტი გვაძლევს, მაქსიმალურად ვცდილობთ სოციალურად დაუცველ ფენაზე იყოს ორიენტირებული,“ – აღნიშნავს ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

ილია მარტყოფლიშვილი

## გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვის ცენტრს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს



გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვის ცენტრს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს- ნოდარ ფიროსმანაშვილი. ის ტრადიციულ, ყოველკვირეულ სამუშაო შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებსა და სამსახურის უფროსებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა წარუდგინა. მერმა და მერიის წარმომადგენლებმა ნოდარ ფიროსმანაშვილთან ერთად იმსჯელეს სამომავლო გეგმებისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების გაუმჯობესების შესახებ. აღინიშნა, რომ წელს 250 000 ლარი გამოიყო სოფელ ზემო მაჩხაანის ცენტრალური რეზერვუარის რეაბილიტაციისათვის, რაც ზემო მაჩხაანის წყალმომარაგებას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. ასევე დაისვა სასმელი წყლის ხარისხთან დაკავშირებული საკითხი. „მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობამ სასმელად სუფთა წყალი მიიღოს, რათა დაცული იყოს მათი ჯანმრთელობა“-აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა. ნოდარ ფიროსმანაშვილმა განაცხადა, რომ აქტიურად ითანამშრომლებს როგორც მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ასევე მოსახლეობასთანაც.

## დავითით დიდი გული აქვს ქართველს...

16 წლის ბიჭი უკვე სახელმწიფოს მართავდა.

20 წლისამ ურჩი ფეოდალები დაამარცხა და საქართველოს განმტკიცება დაუწყო.

26 წლისამ თურქებს ხარკი შეუწყვიტა და აჩვენა, რომ უკვე დამოუკიდებელი მეფე იყო.

27 წლისამ ქვეყნიდან სელჩუკების განდევნა დაიწყო.

29 წლისამ კახეთ-ჰერეთი საქართველოს შემოუერთა.

30 წლის ასაკში იმდროინდელ მსოფლიოში ქვეყანის ეკონიმიკა ყველაზე მზარდი გახადა.

31 წლისამ არნახული საეკლესიო რეფორმა განახორციელა.

32 წლისამ სამხედრო რეფორმა დაასრულა და ქართული ჯარი ახალ სტანდარტებზე აიყვანა, რომელსაც ომი არ წაუგია.

33 წლისამ გელათის აკადემიისა და მონასტრის მშენებლობა დაიწყო.

34 წლისამ სამართლის რეფორმა განახორციელა.

შემდეგ წლებში ერთმანეთის მიყოლებით თურქ-სელჩუკებისგან ათავისუფლებდა საქართველოს კუთხეებსა თუ ქალაქებს, ასევე, მეზობელ ტერიტორიებს და ქვეყანას უერთდებდა.

48 წლის ასაკში დიდგორში მსოფლიოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და უთანასწორო ომი მოიგო.

49 წლის ასაკში საქართველოს გათავისუფლებული თბილისი დაუბრუნა.

51 წლის ასაკში დმანისის სახით უკანასკნელი ქართული ქალაქი გაათავისუფლა.

ანისის დაბრუნებით უკანასკნელი სელჩუკები გაყარა სომხეთიდან.

52 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ვერ დაიტევს დავით აღმაშენებლის ღვაწლზე საუბარს ეს წერილი.

36 წლის მანძილზე გააკეთა იმაზე მეტი, ვიდრე ადამიანს შეუძლია.

ამ კაცში ნამდვილად იყო ღვთიური, ზებუნებრივი ძალა.

ჩვენი ერი ბედნიერია, რომ დავით აღმაშენებელი ჰყავდა.

8 თებერვალს დიდი მეფის ხსენების დღეა.

# დროა, ვისწავლოთ მომავლის ენა...

## 8 თებერვალი ეპილეფსიის საერთაშორისო დღეა

ეპილეფსია არის ცენტრალური ნერვული სისტემის (ნევროლოგიური) დაავადება, როდესაც დარღვეულია თავის ტვინში ნერვული უჯრედების აქტივობა, რაც იწვევს გულყრას. გულყრის დროს ადამიანს შეცვლილი აქვს ქცევა, განიცდის უჩვეულო სიმპტომებს და შეგრძნებებს, გონების დაკარგვის ჩათვლით. ეს ეპიზოდური შეტევა შესაძლოა იყოს ხანმოკლე (რამდენიმე წამი, წუთი) ან ხანგრძლივი .

დღეს მსოფლიოში მოსახლეობის 1%-ს (65 მლნ.) აქვს ეპილეფსია. ასაკის მატებასთან ერთად გამოვლინების სიხშირე მატულობს. ახალი შემთხვევები განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებით ხშირია ჩვილებსა და ასაკოვნებში, ხოლო განვითარებად ქვეყნებში გვიან ბავშვობასა და ადრეულ მოზარდობაში, რაც, სავარაუდოდ, განპირობებულია ჩვილობისა და ბავშვობის ეპილეფსიების გაქრონიკულებულობით (არასწორი მართვის გამო).

დღეს ჩვენს ქვეყანაში, მიუხედავად მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისა, ეპილეფსია ერთ-ერთ სტიგმატიზირებულ დაავადებათა რიცხვს განეკუთვნება და მისი სტიგმის ხარისხი უტოლდება ფსიქიკური დაავადების მქონე პირთა სტიგმის ხარისხს.

დაავადების კვლევაში ბევრი რამ შეიცვალა 80-აინი წლების შემდგომ, მაგრამ სამწუხაროა, რომ თითქმის არაფერი შეცვლილა საზოგადოების დამოკიდებულებაში ამ დაავადების მიმართ.

ვფიქრობთ, მანამ სანამ პაციენტები თავად არ მოისურვებენ თავიანთ დიაგნოზზე თავისუფლად საუბარს, სტიგმის დაძლევა კიდევ ხანგრძლივად გაგრძელდება. დისკრიმინირებულ მდგომარეობაში ისინი დიდწილად თავად იყენებენ საკუთარ თავებს, თავად იწესებენ სოციალურ საზღვრებს, ამ ქცევით საზოგადოების დამოკიდებულებას პასუხობენ, მაგრამ ამის ნაცვლად , პირველ რიგში, დაავადებული პირის მხრიდან უნდა მოხდეს სტატუსის გახსნა, ისაუბრონ თვითონ, რომ წაართვან სათქმელი საზოგადოებას და განთავისუფლდნენ კომპლექსებისგან.

ჩვენს ირგვლივ ძალიან ბევრს ვიცნობთ, რომლებიც ამ დაავადებასთან ერთად ცხოვრობენ, მაგრამ რას ნიშნავს, ეპილეპტიკი შვილის აღზრდა, რამდენად მძიმედ საზიდი ტვირთია იგი მშობლისთვის და შვილისთვის, როგორ უნდა ვმართოთ, რომ ცხოვრება ჩვეული რიტმიდან მთლიანად არ ამოვარდეს, ვეცადეთ, კონკრეტული დაავადების მქონე პირის დედისგან მოგვესმინა გულწრფელი საუბარი.



**- რას ნიშნავს, შვილს აღმოაჩნდეს ეპილეფსია და ეს თავდაპირველად გააცნობიერო?**

- ოთხი შვილის დედა ვარ და როდესაც ჩემს მესამე შვილს ჯერ კიდევ ერთი წლის ასაკში დაუდგინდა ეს დიაგნოზი, მეგონა, სამყარო ჩამომექცა თავზე და დასრულდა ყველაფერი, მაგრამ... ასე არ ყოფილა. რამოდენიმე დღეც არ დამჭირდა იმისთვის, რომ გამეცნობიერებინა, ცხოვრება როგორ უნდა გამეგრძელებინა გაათმაგებული ძალით და მოდუნების და ფიქრის დრო საერთოდ რომ არ იყო.

**- როდესაც გყავთ სხვა ჯანმრთელი შვილებიც, ცდილობთ დრო ყველას ერთნაირად გადაუნაწილოთ?**

- მე არ ვიცი სხვა მშობლები როგორ იქცევიან, მაგრამ ჩემი ცხოვრების დიდ ნაწილს ელენეს ვუთმობ, ეს დანარჩენმა შვილებმა კარგად იციან და არასდროს მსაყვედურობენ, პირიქით, ისინიც ცდილობენ, დას მეტი თავისუფალი დრო დაუთმონ. ჩვენს შემთხვევაში ერთ-ერთ რთულ ფორმასთან გვაქვს საქმე, ფაქტიურად ჩემი გოგონა დაავადების პირველი ხარისხის მატარებელია და სახლიდან თითქმის ველარსად გაგვყავს, გარდა სამედიცინო დაწესებულებებისა. თავდაპირველად ნათესავებისა და „კეთილისმსურველების" მხრიდან იყო რჩევები, რომ ბავშვი სპეციალურ დაწესებულებაში მიგვეყვანა, რაზეც მეც და ჩემმა მეუღლემაც კატეგორიული უარი განვაცხადეთ და ყველას ავუკრძალეთ ამ თემაზე საუბარი. ვთვლი, რომ ეს ჩვენი ოჯახისთვის განსაცდელი კი არ არის, გამოცდაა, რომელიც, ჩემი აზრით, წარმატებით ჩავაბარეთ, ადამიანის, ქალის როლი სხვა უფრო მნიშვნელოვან ადგილას ვერ წარმომიდგენია, ვიდრე შვილებზე ზრუნვაა, მით უმეტეს, თუ შვილს პრობლემა აქვს.

**- როგორ გეხმარებათ სახელმწიფო ამ დაავადებასთან ერთად თანაცხოვრებაში, არის საკმარისი სერვისები, თქვენი ყოფა უფრო შვებისმომგვრელი რომ გახადოს?**

-სახელმწიფოს მხრიდან უყურადღებობას ნამდვილად არ ვუჩივი, მედიკამენტებით ვმარაგდებით, დახმარებას ვიღებთ, რაც შეეხება სერვისებს, ჩვენ არ ვსარგებლობთ სხვა სახელმწიფო სერვისებით და ამიტომ არ ვარ გარკვეული .

**- ადამიანების გვერდში დგომას რამდენად გრძნობთ?**

- თავდაპირველად გვერდში დგომასთან ერთად ვგრძნობდი სინანულსაც მე და ჩემი მეუღლის მიმართ, რაც ძალიან მთრგუნავდა, მაგრამ თანდათან რომ დარწმუნდნენ ჩვენს მტკიცე პოზიციასა და გადაწყვეტილებაში, ნელ-ნელა თვითონაც შეიცვალეს დამოკიდებულებები.

**- გიგრძვნიათ ოდესმე სტიგმა?**

- რა თქმა უნდა, ძალიან ხშირად, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი მდგომარეობა იმდენად მძიმეა, ფაქტიურად მოწყვეტილები ვართ საზოგადოებრივ ცხოვრებას, იზოლირებულები ვართ თითქმის , მაგრამ, მაინც მგონია, რომ ჩვენს საზოგადოებას დღესაც ბევრი უკლია ზღვრების წაშლამდე.

**- რას ურჩევდით სხვა მშობლებს, რომლებმაც არ ისურვეს ან ვერ შეძლეს შვილის პრობლემებთან ჭიდილი და სპეციალურ სახლებში მოათავსეს ისინი სხვის იმედად? მათ საქციელს რამდენად მიზანშეწონილად მიიჩნევთ?**

- ვერ გეტყვით, მათთვის ჩემი რჩევა რამდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდება, ვისაც უკვე აქვს გადაწყვეტილება მიღებული, მაგრამ, მაინც მგონია, რომ ვერცერთი დედა ვერ მოისვენებს და ვერ დაიძინებს სახლში მშვიდად, რომელსაც თავისი შვილი სხვის იმედად, უცხო გარემოში ჰყავს მიბარებული, რაც არ უნდა კეთილსაიმედო გარემო იყოს იქ. დედები იმისთვის ვართ ამქვეყნად მოვლენილნი, რომ შვილები აღვზარდოთ, ყველანაირად დავეხმაროთ, ყოფა გავუადვილოთ და თუ საჭიროა, სიცოცხლე არ დავიშუროთ მათთვის.

დასასრულს, უნდა აღვნიშნო, რომ, როდესაც ამ ქალბატონთან შესახვედრად მივდიოდი, მეგონა, დაღლილი, დათრგუნული დედა უნდა მენახა, მაგრამ, ვნახე ენერგიით და პოზიტივით სავსე ქალი, რომელიც სხვა ჯანმრთელი ბავშვების დედებსაც გადასდებდა თავის დადებით მუხტს, რომელიც ღიად გვესაუბრა თავისი პრობლემის შესახებ და დიდი იმედი აქვს, რომ დადგება დრო, სრულიად განკურნებადი გახდება ეპილეფსია და მის მიმართ არსებული სტიგმაც წლების მერე არადამაჯერებლად მოგვეჩვენება.

მანამდე კი, ჩვენ, თითოეულ ჩვენგანს, დიდი ბრძოლა გვმართებს საკუთარ თავთან, რათა ყოველდღიური „რაციონიდან" ამოვიღოთ ეპითეტები: „საწყალი", „უვიცი", „დებილი", განუვითარებელი", „სოფლელი", გონჯი", „აუტისტი", "ინვალიდი" და ა.შ. სხვანაირად ვერ ვისწავლით მომავლის ენას, ვერ შევძლებთ ჩვენს შვილებთან თანაცხოვრებას და ვერ გავცდებით უპასუხისმგებლო საზოგადოების იმიჯს, თუ არ ვისწავლეთ გულწრფელი თანადგომა და არ ჩამოვშალეთ სოცილური სტერეოტიპები.

ელზა ხარაშვილი

# მეცნიერები საუკუნის დაავადებას მალე დაამარცხებენ

ეს სტატია 31 იანვარს გამოქვეყნდა ამერიკის ერთ-ერთ პოპულარულ სამეცნიერო ჟურნალში Science Translational Medicine და ამერიკელი მეცნიერების მეტად სასიხარულო და იმედისმომცემი ექსპერიმენტის შედეგებს ეხება. საუბარია კიბოს საბოლოო დამარცხებაზე. ექსპერიმენტი თაგვებზე ასპროცენტიანი შედეგით დასრულდა და ახლა ადამიანებზე იწყება ამ სიახლის გამოცდა.

მეცნიერებმა აღმოაჩინეს რომ თაგვებში, სიმსივნურ კერაში, თ-უჯრედების აქტივაციის შედეგად (თ-უჯრედი არის ლიმფოციტის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც ორგანიზმში უცხო ანტიგენების ამოცნობას და იმუნურ პასუხს უზრუნველყოფს) შორეული მეტასტაზებიც კი გაქრა.

კვლევას ატარებს სტენფორდის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლა. ამ ექსპერიმენტის დროს მეცნიერებს სიმსივნის ყველა კერაში, მათ შორის შორეულ მეტასტაზებში შეყავთ 2 სახის იმუნოსტიმულატორი. შედეგი მიღებულია ყველა სახის სიმსივნის დროს.

მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ამ იმუნოსტიმულატორული აგენტების ძალიან მცირე დოზით უშუალოდ სიმსივნურ კერაში შეყვანა იქნება შედარებით იაფი თერაპია და თანაც ასეთ მკურნალობას არ ექნება გვერდითი ეფექტები.

"ამ ორი აგენტის ერთდროული გამოყენებისას ჩვენ ვხედავთ,რომ სიმსივნე მთელ სხეულში ქრება." - ამბობს მედიცინის დოქტორი, პროფესორი, ონკოლოგი რონალდ ლევი, რომელიც ამ კვლევის ხელმძღვანელია. "ეს მიდგომა არ მოითხოვს პაციენტის მთელი იმუნური სისტემის სტიმულაციას."

ამ ორი აგენტიდან ერთ-ერთი უკვე დაუშვეს ადამიანებზე გამოსაყენებლად. მეორე აგენტიც ცალკეულ შემთხვევებში უკვე იქნა ადამიანებში გამოყენებული, იანვარში კი უკვე დაიწყო მისი კლინიკური გამოცდა ლიმფომიან პაციენტებში.

### გასაოცარი ორგანული ეფექტები

ლევი არის კიბოს იმუნოთერაპიული მკურნალობის პიონერი. იმუნოთერაპია გულისხმობს ადამიანის იმუნური სისტემის გამოყენებას კიბოს წინააღმდეგ საბრძოლველად. სწორედ მის ლაბორატორიაში შეიქმნა პრეპარატი რიტუქსიმაბი (ერთ-ერთი პირველი მონოკლონური ანტისხეული), რომელიც დღეს სიმსივნის სამკურნალოდ გამოიყენება.

ზოგადად, იმუნოთერაპიული მეთოდებით კიბოს მკურნალობა გულისხმობს მთელ ორგანიზმში ადამიანის იმუნური სისტემის სტიმულაციას. მაგრამ, რაც შეეხება ახალ მეთოდს, ამ შემთხვევაში მიდგომა სრულიად სხვაგვარია: ორი სახის იმუნოსტიმულატორი უმცირესი დოზებით ერთდროულად შეყავთ უშუალოდ სიმსივნის კერაში და იმუნური უჯრედების სტიმულაცია მხოლოდ სიმსივნის შიგნით ხდება. შედეგად კი გასაოცარი ორგანული ეფექტი მიიღება - სიმსივნე მთელ ორგანიზმში ქრება.

უფრო კარგად რომ გავიგოთ ეს ყველაფერი, გეტყვით, რომ ზოგადად იმუნური ტ-უჯრედები ამოიცნობენ ხოლმე ახალწარმოქმნილ სიმსივნურ უჯრედებს და შეიჭრებიან სიმსივნის კერაში მასთან საბრძოლველად, მაგრამ სიმსივნე ზრდასთან ერთად იწყებს ამ იმუნური უჯრედების აქტიურობის დათრგუნვასაც.

ლევის მეთოდი სწორედ ამ დათრგუნული თ-უჯრედების ხელახლა გააქტიურებას ახდენს სიმსივნის კერაში ორი მასტიმულირებელი აგენტის უმცირესი დოზების შეყვანით. საინტერესოა, რომ შესაყვანი აგენტების რაოდენობა მიკროგრამია (მიკროგრამი გრამის მემილიონედი გახლავთ). ერთი აგენტი ასტიმულირებს ტ-ლიმფოცოტების მიერ სიმსივნური უჯრედების ამოცნობას, მეორე კი - მათთან ბრძოლის პროცესს.



ორივე აგენტის შეთანხმებული მოქმედებით სიმსივნის კერაში არსებული თ-უჯრედები აქტიურდება.

### კიბოს დამშლელი რეინჯერები

სიმისვნის კერაში გააქტიურებული ტ-უჯრედები, რომლებიც სიმსივნური უჯრედების ამოცნობაზე არიან სპეციალიზირებულნი, შემდგე ტოვებენ სიმსივნის კერას და მთელ ორგანიზმში იწყებენ სიმსივნური უჯრედების განადგურებას.

ამ ეფექტმა გააოცა კვლევის ავტორები. ლაბორატორიულ თაგვებში, რომელთაც სიმსივნის ორი ტრანსპლანტირებული კერა ჰქონდათ, ერთ კერაში ორი აგენტის ინექცირების შემდეგ მეორე კერაც ქრებოდა, იმის მიუხედავად, რომ მასში არ შეყავდათ აგენტები.

90 თაგვიდან 87 განიკურნა სიმსივნისგან, 3-ს ხელმეორედ განუვითარდა სიმსივნე, მაგრამ განმეორებითი მკურნალობის შემდეგ ისინიც განიკურნენ. შედეგები აბსოლუტურად მსგავსი იყო სარძევე ჯირკვლის, მსხვილი ნაწლავის კიბოსა და მელანომის შემთხვევაში.

შედეგები მართლაც შთამბეჭდავია. ექსპერიმენტში უკვე ჩაერთო 15 ადამიანი, რომელთაც დაბალდიფერენცირებული ლიმფომის დიაგნოზი დაესვათ. წარმატების შემთხვევაში ლევი ვარაუდობს, რომ შედეგი დადებითი იქნება ნებისმიერი სახის სიმსივნის მკურნალობისას.




## 1959 WLIS TEBERVALI

● MITINGI SEDGA MIRZAANSI, SABWOTA KAVSIRIS KOMUNISTURI PARTIIS YRILOBIS GAXSNIS ARSANISNAVAD, MAS 150 KOLMEURNE ESWREBODA. SOFLIS MEURNEOBIS MUSAKTA WINASE MIRZAANELEBMA IKISRES VALDEBULEBA, GASUL WELTAN SEDAREBIT WELS 2-JER GAADIDON XORCIS DA KVERCXIS WARMOEBA, 1,5-JER KI RZISA. YRILOBIS MASALEBI MOSAXLEOBAS AGITATOREBMA VASIL MOXEVEM, CIXELO KAKALASVILMA, LIZA GONASVILMA DA SXVEBMA GAACNES.

● WITELWYAROSIC DASRULDA MOSAXLEOBIS SAKAVSIRO ARWERA. KONTROLIOREBMA GANMEOREBIT SEMOIARES YVELA SACXOVREBELI SAXLI, RAMAC NAYOFIERI SEDEGI MOGVCA. MAGALITAD ARBOSIKSI INSTRUQTOR-KONTROLIOREBIS GULMODGINE SROMIT GAMOVLINDA ARWERIS MSVLELOBISAS GAMORCENILI 3 KACI, SOFEL JAFARIZESI - 2, WITELWYAROS SASOFLO SABWOSI - 9 KACI. RAIARRICXVAM YVELA SASOFLO SABWODAN DAAMTAVRA MASALEBIS MIREBA. AXLA GULDASMIT MIMDINAREOBS AM MASALEBIS DAZUSTEBA-DAMUSAVEBA. SEDEGEBS WARVADGENT RESPUBLIKUR STATISTIKUR SAMMARTVELOSI. MOSAXLEOBIS SAKAVSIRO ARWERIS SABOLOO SEDEGI WLIS BOLOS GVECODINEBA.

● WITELWYAROS PURPRODUQTEBIS DAMZADEBIS PUNQTIS MUSA MOSAMSAXURETA SACXOVREBELI BINEBIS AXLOS IMYOFEBA SAASFALTE GUDRONIS SESANAXI TXRILI. IQIDAN WVIMIS DROS GUDRONI GADMODIS DA AZIANEBS PIRUTYVTA SADGOMEBS. RIA TXRILSI XSIRAD CVIVDEBIAN DA KVDEBIAN QATMEBI DA SXVA CXOVELEBI. SAWIROA, SIRNARIS # SAGZAO UBANMA DA KERZOD CVENS RAIONSI SAGZAO SAMUSAOEBIS OSTATMA IASVILMA GADAMWRELI ZOMEBI MIIRON TXRILIS WESRIGSI MOSAYVANAD.

● QEDIS SOFLIS KOOPERATIVIS PURIS SACXOBI KARGI XARISXIS PURS IZLEVA, RAMDENADAC ES DAMOKIDEBULIA OSTAT M. MOSESIANZE. MAGRAM SACXOBI MOTAVSEBULIA ZALZE WUWYIAN, SESAKETEBEL SENOBASI. OTAXEBSI CAMODIS WVIMA, RIS GAMOC KEDLEBI CAMONGREULI DA DASVRILIA. SAWIROA CATARDES REMONTI ISE, ROM SESAZLEBELI IYOS SANITARUL-HIGIENURI NORMEBIS DACVA.

● WITELWYAROS SASTUMROS GVERDIT, RAIKOPKAVSIRIS GAMGEOBAM AASENA ORSARTULIANI SAXLI. PIRVEL SARTULSI MOTAVSEBULI IQNEBA WIGNEBIS MARAZIA, XOLO MEORE DAETMOBA SASTUMROS. AXLA AQ GACXOVELEBULI TEMPIT MIMDINAREOBS SIGAMOWYOBILOBEBIS SAMUSAOEBI. XELMZRVANELEBS GANSAZRVRULI AQVT SENOBA SAEQSPLOATACIOD GADASCEN 25 TEBERVALS, SAQARTVELOSI SABWOTA XELISUFLEBIS DA MYAREBIS DRIS ARSANISNAVAD.

● QVEMO QEDSI MTIDAN CAMOSAXLEBULEBMA AR ICODNEN VENAXIS MOVLA. ISINI ZIRITADAD MECXOVELEOBAS MISDEVDNEN. MAGRAM ATEULI WLEBIS GASVLIS SEMDEG QVEMOQEDELEBMA DAURALAVI SROMIT GAAZLIERES TAVIAANTI KOLMEURNEOBA. AM SOFLIS MKVIDRTA SUFRAS SAKUTARI WARMOEBIS MXOLOD RVINORA AKLDA. 1952 WLIDAN QVEMO QEDELEBMAC SCADES VENAXIS GASENEBA. SAKUTARI SAQME XELSI MOUVIDAT DA WELS UKVE 64 HA NAYOFISMOMCEMI VENAXI AQVT. MIUXEDAVAD ROM VENAXI MATTVIS AXALI XILIA, 1955 WELS ZILICASI TITOEUL HEQTARZE SASUALOD 120 CENTNERI YURZENI AIRES. AMITOMAC AXALI VENAXEBIS CAYRAS MIHYVES XELI. SUL MALE MAT 540 HA VENAXI EQNEBAT.

● ELDRIS MUSA MOSAMSAXUREEBI KANONIER UKMAYOFILEBAS GAMOTQVAMEN, ROM DREMDE ARA AQVT AFTIAQI, SAWIROEBIS SEMTXVEVASI WAMLEBIS SESYIDVISATVIS WITELWYAROSI, KILOMETREBZE UWEVT WASVLA. RAIONIS MTAVARMA EQIMMA DA ELDRIS MEURNEOBIS DIREQCIAM MSROMELTA AM MOTXOVNAS JEROVANI YURADREBA UNDA MIAQCIOS.

## 1968 WLIS TEBERVALI

● PIRVELI GAZQUREBI WITELWYAROSI 1961 WELS GAMOCNDA, GAZIFIKACIIS KANTORAC MASIN GAIXSNA SRULI STATIT. GAZQUREBIS RAODENOBA 600-700 CALS ARWEVDA. KANTORAM 1963 WLAMDE IARSEBA DA RATOMRAC GURJAANIS KANTORAS SEUERTES. WELS DAMONTAJEBULI GAZQUREBIS RICXVI 3 077-S UDRIS. RAIONIS SIGNIT MOMSAXUREBAZE SAMI PROFILAQTIKI DA ERTI DAMMONTAJEBELI MUSAOBS. GAMOYOFILIA ERTI SPECIALURI MANQANA, ROMELIC VER AKMAYOFILEBS BALONEBIT MOMARAGEBAS. MOTXOVNA GAZRDILIA. ARIS SEMTXVEVEBI, ROCA MANQANA TYDEBA DA VERAR AXDENS MIWVDAS, RAC MOQALAQEEBIS UKMAYOFILEBAS IWVEVS. QEDEBSA DA ARBOSIKIS ZONASI MWVAVED IGRZNOBA MOMSAXURE PERSONALIS NAKLEBOBA. ARBOSIKSI 700-MDE DANADGARIA DA 2 KACI EMSAXUREBA. RAIONIS MSROMELTA OJAXEBSI FARTOD DAMKVIDRDA GAZQUREBI. ASE ITQMIS MECXOVELEOBIS FERMEBZEC. TITQMIS YVELA KULTURUL FERMASA DA BRIGADEBSI DADGMULIA GAZQUREBI.

● REVOLUCIAMDE ZEMO MACXAANELEBS OCNEBAC KI AR SEEZLOT KETILMOWYOBIL SAYOFACXOVREBO MOMSAXUREBAZE. SABWOTA XELISUFLEBIS DROS KI SOFELSI MRAVALI RAM GAKETDA, RAC MOSAXLEOBIS KETILDREOBAS MKVETRAD AMARLEBS DA AUMJOBESEBS. TUNDAC AXLAXAN ASENEBULI SAYOFACXOVREBO PAVILIONI, ROMELSIC MOTAVSEBULIA RADIOSAXELOSNO DA SAPARIKMAXERO. PAVILIONIS MUSAKEBI MARALI SAWARMOO MACVENEBLEBIT EGEBEBIAN SABWOTA SAQARTVELOS 47 WLISTAVS.



● YOVELTVIS GADATVIRTULIA WITELWYARO-ZEMOMACXAANIS MARSRUTIS AVTOBUSI. ARBOSIKELEBMA DIDI MECADINEOBIS SEDEGAD MIARWIES, ROM GAMOAYOFINES CALKE AVTOBUSI WITELWYARO-ARBOSIKI, MAGRAM MATI SIXARULI XANMOKLE GAMODGA. JER 2-3 DRESI ERTXELRA GAMOCNDEBODA XOLME, AXLA KI KVIRASI ERTXEL TU MOEVLINAT `UKVDAVEBIS WYAROSAVIT~ ISIC DID MIRWEVAD MIACNIAT. IMIS SISIT, DRES TU XVAL MTLIANAD GAAUQMEBENO. PASUXISMGEBELI PIREBI MXREBIS ACECVIT PASUXOBEN, RA VQNAT, GEGMAS VERVASRULEBTO. MAGRAM MATI PASUXI CVENTVIS GASAGEBIA, RADGAN MZROLEBI YELAMDE GAAVSEBEN XOLME AVTOBUSS, TEVA ARAR ARIS, `URAZMERO XOM AR ARIS, ROM AVTOBUSMA GAIWIOS~, XSIRAD AMBOBEN MGZAVREBI. MZROLEBI KI FEXZE MDGOM MGZAVREBS BILETS AR AREBINEBEN DA MAT FULS SAKUTAR JIBESI MSVENIVRAD ICXRIALEBEN. ABA GEGMA ROGOR UNDA SESRULDES?



● QALAQ WITELWYAROS RUSTAVELIS QUCA KIDEV ERTMA LAMAZMA SENOBAM DAAMSVENA. PARTIIS RAIONULI KONFERENCIIS WINA DRES EQSPLOATACIASI GADAECA TANAMEDROVE STILIS SENOBA. NATELI KABINETEBI DA UBRALO STILI MNAXVELEBS XIBLAVS. AQ YVELA SESAZLEBLOBAA, ROM WITELWYAROS KAVSIRGABMULOBIS KANTORAM BINA DAIDOS DA NORMALURAD IMUSAOS.

(STILI DACULIA)

**მოამზადა**
ილია მარტყოფლიშვილმა

# მირქმა, მიგებება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

ყოველი წლის 15 თებერვალს მართლმადიდებელი ეკლესია მირქმის-მიგებების დღესასწაულს აღნიშნავს და ამგვარად მოიხსენიებს იმ სასწაულს, მრავალი საუკუნის წინ რომ აღესრულა.

ახალშობილი იესო ქრისტე, ებრაელთა წესის თანახმად, მშობლებმა იერუსალიმის ტაძარში მიიყვანეს, "რადგან ყოველივე მამრობითი სქესისა, რაც კი იშვებოდა საშოთაგან დედისა, მოხმობილ იყო აღსრულებად მსხვერპლშეწირვისა წესისამებრ უფლისა-წყვილი გვრიტების ან მტრედის ორი მართვეს სახით." ტაძარში მათ შემოეგებათ მოხუცებული, რომელმაც მკლავთა ზედა თვისთა მიირქვა ყრმა და შეჰღაღადა უფალს: "აწ განუტევე მონაი შენი, უფალო, სიტყვისაებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარებაი შენი, რომელი განუმზადე წინაშე

პირსა ყოვლისა ერისასა, ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაელისა" (ლუკა, 2, 29-32), შემდეგ კი ყოვლადწმინდა ქალწულ მარიამს მიუბრუნდა და გააფრთხილა: " თვით შენსაცა სულსა განვიდეს მახვილი" (ლუკა, 2, 35). ამ სიტყვებით მოხუცებულმა ის ტანჯვა იწინასწარმეტყველა, რომელიც მახვილივით განკვეთდა დედის გულს ჯვარცმული შვილის ხილვისას. ამ საოცარი მოხუცის სახელი სვიმეონი გახლდათ, რომელსაც სახარება მართალს უწოდებს.

საიდან იყო წარმოშობით წმინდა სვიმეონი და ვინ იყვნენ მისი მშობლები, ჩვენთვის არაა ცნობილი. რაც ვიცით, ისაა, რომ იგი იმ სამოცდაათთაგანი გახლდათ, პტოლემეოს ფილადელფოსმა ალექსანდრიაში რომ მიიწვია საღმრთო წერილის ბერძნულ ენაზე გადასათარგმნელად. ესაიას წინასწარმეტყველების თარგმნისას ეჭვებმა შეიპყრო, რადგან ვერ დაიჯერა, რომ ქალწული შობდა ძეს. მაგრამ, რამდენჯერაც მოინდომა, ქალწულის ნაცვლად დედაკაცი დაეწერა, იმდენჯერ უფლის ანგელოზმა გაუჩერა ხელი. უძველესი გადმოცემის თანახმად, მდინარეზე გადასვლისას ამ საკითხს თავის თანამგზავრებთანაც განიხილავდა. ამ დროს მას ხელიდან მოუძვრია ბეჭედი, გადაუსროლია წყალში და უთქვამს: ვიწამებ წინასწარმეტყველის ნათქვამს, ოღონდ-ბეჭდის აღმოჩენისთანავეო. მეორე დილით თევზი იყიდა, რომ თანამგზავრებთან ერთად ეჭამა და თავისი ბეჭედი თევზის მუცელში აღმოაჩინა. ამ სასწაულის ხილვამ გააოგნა მართალი სვიმეონი და ირწმუნა ძალმოსილება უფლისა. შემდეგ აღთქმაც მიიღო ღვთისგან: არ ენახა სიკვდილი, ვიდრემდე არ იხილავდა უფალს, ქრისტეს. და მართალი სვიმეონიც, აღთქმის აღსრულების მომლოდინე, იერუსალიმში დამკვიდრდა.

ყოველ დილით ტაძარში ევედრებოდა უფალს, აღესრულებინა აღთქმა, რომელიც მას და მთელ კაცობრიობას აღუთქვა - ეხილა ღვთაებრივი ყრმა. ერთხელაც, მლოცველს მოესმა, გასულიყო და შეგებებოდა ნუგეშს ყოველივე ქმნილისას. გარეთ გამოსულმა მოხუცებულმა სულიწმინდის მადლით უამრავ ხალხში უმალ შეიცნო განკაცებული იესო, მიეახლა მას, მიირქვა მკლავთა ზედა თვისთა და ცრემლმორეულმა მადლობა აღუვლინა უფალს, იწინასწარმეტყველა იესოს მიწიერი ცხოვრების დასასრული, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტკივილი და ტანჯვა. აღსრულდა ის, რასაც სვიმეონ მიმრქმელი რამდენიმე ასწლეული ელოდა. ამიტომაც შეევედრა ღმერთს, რადგან აღსრულდა აღთქმული, წაეყვანა თავისთან მისი დაღლილი სული.

მართალ სვიმეონთან ერთად ყრმა იესოს ტაძარში მეორე წმინდა ადამიანიც შეეგება-ანა წინასწარმეტყველი, ასული ფანოელისი, რომელიც დაქვრივების შემდეგ იერუსალიმის ტაძარს არ მოშორებია "მარხვითა და ვედრებითა და მსახურებითა ღამე და დღე" (ლუკა, 2, 37).

ამ დღის შემდეგ მიგებების დღესასწაული იქცა ზეიმად ადამიანის უფალთან მიგებება-შეხვედრისა. უფლის მომლოდინე სული ყოველთვის მიიღებს ნუგეშს თავისი შემოქმედისგან.

15 თებერვალი მირქმის დღესასწაულია.

# ავარიების 2017 წლის სტატისტიკა ცნობილია



საქართველოში 2017 წელს ავარიების რიცხვი 2016 წელთან შედარებით შემცირდა. კერძოდ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, გასულ წელს ჯამში 6079 ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, მათგან სიმთვრალით გამოწვეული იყო 160 შემთხვევა. 2016 წელთან შედარებით შემცირებულია ავარიების შედეგად დაღუპულთა და დაზარალებულთა რაოდენობაც.

კერძოდ, 2017 წელს, ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად 8461 ადამიანი დაზარალდა, 517 კი დაიღუპა. 2016 წლის სტატისტიკა კი შემდეგნაირია: 9951 დაზარალდა და 581 დაიღუპა.

# დღე, როდესაც მთელი მსოფლიო შეყვარებულია

ითვლება, რომ წმინდა ვალენტინის დღესასწაული უკვე 16 საუკუნეზე მეტია, რაც არსებობს. თუმცა, სიყვარულის დღეს ჯერ კიდევ უძველეს, წარმართული კულტურის ხანაშიც აღნიშნავდნენ. მაგალითად, რომაელები თებერვლის შუა რიცხვებში ეროტიზმის ფესტივალს აწყობდნენ, სიყვარულის ქალღმერთის ჟუნო **Februata-is** საპატივსაცემულოდ და მას გუპერცალია-ს უწოდებდნენ.

ამ დღესასწაულს კონკრეტული „დამნაშავეც“ ჰყავს - ქრისტიანი მღვდელი წმინდა ვალენტინი. ეს ისტორია დაახლოებით 269 წლით თარიღდება, მაშინ, როდესაც რომის იმპერიას იმპერატორი კლავდიუს II მართავდა. რომის არმია ჯარისკაცების ნაკლებობას განიცდიდა, სამხედრო მეთაურს კი სჯეროდა, რომ ამის მთავარი მიზეზი ქორწინება იყო - დაქორწინებული ლეგიონერი იმპერიის დიდებაზე გაცილებით ნაკლებად ფიქრობდა, ვიდრე ოჯახზე. იმისათვის, რომ თავისი მეომრებისათვის საბრძოლო სულისკვეთება შეენარჩუნებინა, იმპერატორმა გამოსცა ბრძანებულება, რომლის თანახმადაც ლეგიონერებს ცოლის მოყვანა ეკრძალებოდათ.

მიუხედავად აკრძალვისა, ჯარისკაცებს მაინც უყვარდებოდათ... და მათ საბედნიეროდ გამოჩნდა ადამიანი, რომელიც იმპერატორის აღშფოთებას არ ერიდებოდა და ლეგიონერებს თავის შეყვარებულებზე ჩუმად სწერდა ჯვარს. ეს ადამიანი იყო წმინდა ვალენტინი, რომის ქალაქ ტერნიდან. ჩანს, ნამდვილი რომანტიკოსი იყო, ვინაიდან მისი საყვარელი საქმიანობა იყო წაჩხუბებულ შეყვარებულთა შერიგება, სასიყვარულო წერილების დაწერა, ლეგიონერების თხოვნით ყვავილების გაგზავნა გოგონებისათვის.



რა თქმა უნდა, როგორც კი იმპერატორმა ეს ამბავი შეიტყო, „დანაშაულის აღკვეთა“ გადაწყვიტა. ვალენტინს სიკვდილი მიესაჯა. კიდევ ერთი ტრაგედია იმაში იყო, რომ თავად ვალენტინი ციხის ზედამხედველის ქალიშვილზე იყო შეყვარებული. სიკვდილამდე ერთი დღით ადრე, მან გოგონას წერილი მისწერა, რომელშიც თავისი სიყვარულის შესახებ უყვებოდა, ბოლოში კი მიაწერა „შენი ვალენტინი“. წერილი ადრესატმა მიჯნურის გარდაცვალების შემდეგ წაიკითხა...

მოგვიანებით, კათოლიკურმა ეკლესიამ ვალენტინი წმინდანად შერაცხა. ხოლო 496 წელს რომის პაპმა, გელასიუს პირველმა, 14 თებერვალი წმინდა ვალენტინის დღესასწაულად გამოაცხადა.

1969 წელს კათოლიკური საეკლესიო კალენდარიდან ვალენტინობის დღესასწაული ამოღებულ იქნა.

თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ყოველი წლის 14 თებერვალს შეყვარებულები ერთმანეთს ეგრედ წოდებულ „ვალენტინებს“ სწერენ, ამ დღეს აწყობენ ნიშნობას, ან ქორწინდებიან.

ევროპაში ვალენტინობის დღესასწაული მე-13 საუკუნიდან აღინიშნება, ხოლო აშშ-ში 1777 წლიდან.

იაპონიაში კი შეყვარებულები ერთმანეთს შოკოლადებს ჩუქნიან. ვალენტინობას აქ 30-იანი წლებიდან აღნიშნავენ და მას მერე შოკოლადი ყველაზე გაყიდვად საჩუქრად იქცა. სხვათა შორის, იაპონიაში ეს დღე „8 მარტს მამაკაცებისათვის“ უფრო ჰგავს, რადგან ძლიერი სქესის წარმომადგენლები უფრო მეტ საჩუქარს იღებენ, ვიდრე მანდილოსნები.

ვნებიანი ფრანგებისათვის ვალენტინობაზე ძვირფასეულობის ჩუქებაა დამახასიათებელი. ხოლო რომანტიული დანიელები შეყვარებულებს თეთრ ვარდებს უგზავნიან.

დიდ ბრიტანეთში 14 თებერვალს, დილას, სანამ კარგად გათენდება, გასათხოვარი გოგონები ფანჯრებთან დგებიან და ქუჩაში გამვლელ მამაკაცს ელოდებიან. ლეგენდის თანახმად, პირველი მამაკაცი, რომელსაც დაინახავენ, მათი მომავალი საქმროა.

არსებობს ქვეყანა, სადაც ვალენტინობას განსხვავებულად აღნიშნავენ, ეს არის საუდის არაბეთი, სადაც დღესასწაული ოფიციალურად არის აკრძალული.

# ოცი საუკუნე გულით ატარა ქართველმა ღვთისმშობელი, ღვთისმშობელმა კი, კალთით–საქართველო!

**(მეოთხე გვერდიდან)**

როდესაც ჩვენ გვინდა ახალი და ძლიერი საქართველოს შენება, ქართველებს ახალი გზის ძიება ნამდვილად არ გვჭირდება, ეს გზა ჩვენს ქვეყანას უკვე გავლილი აქვს. თუ დავადგებით წინაპართა გზა-კვალს, მაშინ აუცილებლად მივიღებთ დავითისა და თამარისეულ საქართველოს. თამარის შემდეგ კი იწყება მოწამეობრივი გზა. მცირე გამონაკლისების გარდა, ქართველმა ერმა ეს გამოცდა წარმატებით ჩააბარა- ჩვენმა მღვდელმთავრებმა, მორწმუნე ადამიანებმა სარწმუნოებისათვის ძალიან ბევრი სისხლი დაღვარეს, ამიტომ არის ქართველობა მადლი. მე-XVI-XVII საუკუნეებში, როდესაც დაკნინდა ჩვენში სარწმუნოება, როდესაც დაივიწყა ერმა, რომ ის კვართის მცველი ერია, ვირწმუნეთ, რომ ჩვენი გასაკეთებელი შეიძლება სხვამ გააკეთოს და დავიწყეთ გამოსავლის ძიება სხვაგან: სულხან-საბა ორბელიანი მიემგზავრება ევროპაში და იქ ეძიებს გადარჩენის გზას, ხოლო თეიმურაზ ბაგრატიონი მიემგზავრება რუსეთში. შედეგად კი მივიღეთ ის, რომ საქართველო კარგავს მეფობას, რომელიც არის ერის აღმნიშვნელი და ქვეყნის ეკლესია კარგავს ავტოკეფალიას.

ილია ჭავჭავაძემ სულზე მოუსწრო საქართველოს. იმ დროს, როდესაც ქვეყანას არ ჰყავდა მეფე და პატრიარქი, მათი ფუნქცია შეასრულა ილიამ. მან სწორ გზაზე დააყენა ქართული საზოგადოება. მაგრამ ილიას მკვლელობის შემდეგ იწყება ბრძოლა არა მხოლოდ ქართული სახელმწიფოებრიობის, არამედ სარწმუნოების წინააღმდეგაც... დახვრიტეს ერის გამორჩეული ნაწილი, მათ შორის საეკლესიო პირები... და ამ პერიოდის შემდეგ საქართველოში კვლავ გამოჩნდა მეორე ილია, რომელმაც ჩაიბარა სუდარაგადაფარებული ეკლესია. მას შემდეგ დაიწყო ხალხის შემობრუნება ეკლესიისკენ და ეკლესია-მონასტრების არნახული მშენებლობა.“

**თბილისის სამების ტაძრის სტიქაროსანმა, ხატების მცველმა** სტეფანე დილებაშვილმა დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია, თუ როგორ შეიძლება მივიღოთ მონაწილეობა მახათას მთაზე ღვთისმშობლის სავანის მშენებლობაში:

– ღვთისმშობლის სავანეს მთელი საქართველო და უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები ერთიანი ძალისხმევით ვაშენებთ. ეს მშენებლობა არის მადლიერების გამოხატულება და ძღვენი ჩვენი ერის ზეციური მფარველისადმი. სავანე, სამონასტრო მოღვაწეობასთან ერთად, შეითავსებს ასევე საგანმანათლებლო ფუნქციასაც. მოეწყობა მუზეუმი, ბიბლიოთეკა, ფართოდ გაიშლება მთარგმნელობითი საქმიანობა. დღეისათვის ტაძარის გარე ფასადი დასრულებულია, მიმდინარეობს შიდა სამუშაოები, ეზოს და გალავნის კეთილმოწყობა. თუ თქვენ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა ამ საშვილიშვილო საქმეში, უნდა შეავსოთ ანკეტა, სადაც უნდა ჩაწეროთ თქვენი პირადი მონაცემები და საკონტაქტო ინფორმაცია, თქვენი ოჯახის ცოცხალი და გარდაცვლილი წევრების სახელები. ანკეტის შევსება შეიძლება საქართველოში მოქმედი ყველა ბანკის ფილიალში, ასევე საზოგადოება “ივერიისას” ვებგვერდზე- www.iveriisa.ge ან ცხელ ხაზზე- 032 244 0484, 032 214 0484, ონლაინ რეჟიმში (შევსებული ანკეტის მიწოდებას ადრესატამდე უზრუნველჰყოფს ბანკის სამსახური, ხოლო ვებგვერდზე შევსებული ანკეტა თავად უნდა გადაგზავნოთ საზოგადოება „ივერიისას“ ელ-ფოსტზე: info@iveriisa.ge ანგარიშზე.

შეწირულობის ჩასარიცხად საჭიროა, მივიდეთ ჩვენთვის სასურველ ბანკში და ერთჯერადად, ან ყოველთვიურად „ივერიისას“ ანგარიშზე გადავრიცხოთ ნებისმიერი თანხა, ვისაც ბანკში ანგარიშზე ყოველთვიურად ერიცხება ხელფასი ან პენსია, საკმარისია ერთჯერადად გაფორმდეს ხელშეკრულება ავტომატური დავალების მომსახურებაზე. ვებგვერდით და ონლაინ რეჟიმით თანხა შეიძლება ჩაირიცხოს დისტანციური საბანკო გადარიცხვის (ინტერნეტ ბანკინგი) საშუალებით შმდეგ რეკვიზიტებზე: სს „თი-ბი-სი ბანკი“: TBCBGE22, ანგარიშის ნომერი:GE96TB700 555 555 555 5555, მიმღები საზოგადოება “ივერიისა”(ს/კ: 404868318). საქართველოში რეგისტრირებული ნებისმიერი ოპერატორიდან შესაძლებელია, დავრეკოთ ტელეფონზე 090177777. ზარის ღირებულება 1 ლარია. **ცნობისთვის:** მაგთის აბონენტებიდან 1ლარი სრულად ირიცხება “ივერიისას” ანგარიშზე, ხოლო სხვა ოპერატორებიდან მხოლოდ 0,50 თეთრი, 0,50 თეთრი კი რჩება ოპერატორს. თანხის შემოწირულობა ხორციელდება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით.

ანკეტაში მოხსენიებული ყველა ადამიანი გახდება ტაძრის სრულუფლებიანი აღმშენებელი. იქმნება წიგნი, რომელიც ტაძარში დაიდებს ბინას და რომელშიც ტაძრის ყველა აღმშენებლის გვარ-სახელი ჩაიწერება. აგრეთვე, გვარ-სახელები აიტვირთება საზოგადოება „ივერიისას“ ვებ-გვერდზე, სადაც თქვენ შეგიძლიათ, გადაამოწმოთ თქვენი ანკეტის მონაცემები, – განმარტა სტეფანე დილებაშვილმა და წარმატებები უსურვა დამსწრეთ.

მთელი კვირა ღვთისმშობლის მადლი ტრიალებდა ჩვენს რაიონში. გეწეოდეთ და ყოველგვარი გასაჭირისგან გიცავდეთ დედაღვთისმშობელი თქვენ, სრულიად საქართველოს და საქრისტიანოს.

ნაირა გორაშვილი
ინგა შიოლაშვილი

**იყიდება!**

იყიდება ოროთახიანი ბინა დიდი ლოჯიით, ავტოფარეხით დედოფლისწყაროში (ბენზინგასამართი სადგურის მოპირდაპირე მხარეს) რუსთაველის ქუჩაN4, კორპუსი 3, II-ე სადარბაზო, ბინა 9. ფასი შეთანხმებით.

მსურველები დაგვიკავშირდით შემდეგ ნომერზე 555 23 26 80.

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 12.02 | | სამშაბათი 13.02 | | ოთხშაბათი 14.02 | | ხუთშაბათი 15.02 | | პარასკევი 16.02 | | შაბათი 17.02 | | კვირა 18.02 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 4° | 3° | 4° | 3° | 2° | 1° | 2° | 1° | 4° | 3° | 7° | 3° | 6° | 3° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.